ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 408

16 აგვისტო
"___" _____ 2024 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №8-10-ის მიმდებარედ არსებული 580 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.010.011) 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფუოკოსთვის" (ს/ნ. 412768535) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №8-10-ის მიმდებარედ არსებული 580 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.010.011) 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფუოკოსთვის" (ს/ნ. 412768535) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 9 ივლისის № 24.1195.1313 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების - ქალაქ თბილისში, გამზირი ჭავჭავაძე, №8-10-ის მიდებარედ არსებული 580 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.14.11.010.011), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ამავე განკარგულების დანართი №1-ით წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად, 18 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შპს „ფუოკოსთვის" (ს/ნ. 412768535) გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4 320 (ოთხი ათას სამას ოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე